თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №448
2024 წლის 27 დეკემბერი

ქ. თეთრიწყარო

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობების რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 დეკემბრის №345 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2, მე-4 პუნქტების, ამავე კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობების რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 დეკემბრის №345 დადგენილებით (31.12.2021 წ., სარეგ კოდი: 270070000.35.157.016449) დამტკიცებულ დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გოჩა თედორაძე**

დანართი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობების რანგები, თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და საშტატო ნუსხა

	რანგი/კატეგორია	**თანამდებობა**	**საშტატო რიცხოვნობა**	**თანამდებობრივი სარგო**
დაწესებულების ხელმძღვანელები				
	პოლიტიკური თანამდებობის პირი	საკრებულოს თავმჯდომარე	1	5986
		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4526
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3942
		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3212
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	2920
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	9	2336
საკრებულოს აპარატი				

	პირველი რანგი/მაღალი მმართველობითი დონე	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1	4234
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება				
	მეორე რანგი/საშუალო მმართველობითი დონე	მეორე რანგი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	3358
	III რანგის I კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	2	2482
	III რანგის II კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	2	2336
	III რანგის III კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	1	2190
საორგანიზაციო განყოფილება				
	მეორე რანგი/საშუალო მმართველობითი დონე	მეორე რანგი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	3358
	III რანგის I კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	1	2482
	III რანგის II კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	3	2336
	III რანგის III კატეგორია	უფროსი სპეციალისტი	2	2190
	IV რანგის II კატეგორია	უმცროსი სპეციალისტი	1	1460